სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქეთევან წაქაძე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე
ასოცირებული პროფესორი

გორი
2019

ანოტაცია

ჩვენს ქვეყანაში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპია.

საზოგადობაში გავრცელებულ დანაშაულთა გარკვეულ ნაწილს ხშირად არასრულწლოვნები სჩადიან, ამიტომ თითოეული ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ისეთი სტანდარტებისა და მექანიზმების დამკვიდრება, რომლებიც უზრნველყოფს განსაკუთრებულად სპეციალიზებულ მიდგომას კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნების მიმართ.

არასრულწლოვნების პერიოდი ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დროა, რომელიც დიდ გავლენას ახსენს მის მომავალზე. შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება უმტკინვეულოდ ჩაიაროს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცხოვრებაში.

არასრულწლოვნის შემთხვევაში საქმე ეხება პირს, რომელსაც ზოგადად სამყაროს, კერძოდ კი, კანონის აღქმა შეზღუდული აქვს ინტელექტუალური მოუმწიფლებობის გამო. მსოფლიოში უამრავი არასრულწლოვანი ბავშვობას არა საკუთარ მშობლებთან, არამედ სასჯელაღსრულების დაწესებულებში ატარებს, მსგავსი გარემო კი ხელს უწყობს დანაშაულის გარემოებას და არა მის გამოსწორებას.

ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც თავს უყრის არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, სისხლისსამართალწარმოების და პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნაშრომის მიზანია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხის განხილვა, რათა წარმოჩნდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

K.Tsakadze

Juvenile justice reform in Georgia

Annotation

The best interest of the juvenile protection in our country is the basic principle of juvenile justice implementation.

A certain part of the generalized crimes in the society are commited by juveniles, therefore, it is most important to establish such standards and mechanisms, which will ensure a particularly specialized aproach for the juveniles, who are in confict with the law.

The highest risk for committing a crime is during minority period. Accordingly, the law must be so improved and corresponding to the international standarts that the crimes committed at this age, should make the chids's life as painless as possible.

The system of Juvenile is very sensitive. A lot of juveniles spend their childhood not with their family, but at the penitentiary facilities. Such environment promotes commission of a nes offense, not correction.

In our country there is already a juvenile justice code that covers issues related to criminal liability, criminal prosecution and penitentiary system towards juveniles.

The goal of the work is to doscuss several problematic issues of criminal responsibilities of Juveniles in order to present positive and negative aspects of the Coe of Juvenile Justice.

შინაარსი

შესავალი 5

თავი1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა……..…7

1.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიული განვითარება.....9

1.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირება და თანამედროვე ტენდენციები.....11

1.2.1. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია.....11

1.2.2. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები).....13

1.2.3. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებთ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები).....14

1.2.4. გაერთიანებული ორგანიზახიის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები).....16

თავი 2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა ქართულ სამართალში.....17

2.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია.....18

2.1.1. რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები.....20

2.1.2. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა.....21

2.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის რეფორმა.....24

თავი 3. არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენების უკიდურესი ზომა.....26

3.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.....29

თავი 4. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.....30

4.1. კოდექსის სტრუქტურა.....32

4.2. კოდექსის მოქმედების სფერო.....33

თავი 5. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები.....34

5.1. არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სპეციალისტების მომზადება.....40

თავი 6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრობლემური მუხლების იდენტიფიცირება და განხილვა.....42

ა) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები.....42

ბ) არასრულწოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები.....43

დასკვნა.....45

გამოყენებული ლიტერატურა.....50

შესავალი

სოციალურ ღირებულებათა სისტემაში არასრულწლოვანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მის თავისუფლებას, საუკეთესო ინტერესების დაცვას, პატივსა და ღირსებას უზენაესი მნიშვნელობა აქვთ. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო არასრულწლოვნის უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, შეიძლება ვიმსჯელოთ მის დემოკრატიულ და ჰუმანურ ხასიათზე. სწორედ ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშან-თვისება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მართლმსაჯულების მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესი ფუნქციას ასრულებს. სწორად აღნიშნული განსაზღვრავს თემის აქტუალობას, რადგან ბავშვთა უფლებების დაცვა მართლმსა-ჯულების პროცესში საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

არასრულწლოვნების პერიოდი ადამიანის ცხოვრების უაღრესას საპასუხსიმგებლო პერიოდია. ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაიძლიოს ღირებულებითი ორინეტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. არასრულწლოვნებუს მიერ ჩადენილ დანაშაულზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია ხშირად გამოიხატება მათ მიმართ დათრგუნვისა და დასჯის გაძლიერებით, სანქციენის გაზრდითა და პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულები სისტემა, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით, მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, იგი აერთიანებს იმ ძირითად ინსტიტუტებს, რომელიც გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით, იქნება ეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტები, სახელმძღვანელო დებულებები, პროცედურები თუ შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული მექანიზმები.

ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორი მიდგომა არსებობს არასრულწლოვნის, კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფ

პირის მიმართ - კონკრეტულ დროს, კონკრეტულ მოცემულობაში და როგორია მისი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.

თავისი არსით, არასრულწოვანთა მართლმსაჯულების სისტემა კომპლექსურია და აერთიანებს ისეთ ორგანიზაციას, დაწესებულებას, უწყებას და სამთავრობო სტრუქტურას, როგორიცაა პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები, პრობაციის სამსახურები და საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

საერთაშორისო სამართალში ბავშვობის დასრულების ასაკად თანდათანობით 18 წელი დამკვიდრდა. არასრულწოვანთა მართლმსაჯულებაში ეს ასაკი უკვე მტკი-ცედაა დადგენილი ზედა ასაკობრივ ზღვრად. ბავშვის უფლებათა კომიტეტის (CROC) განმარტებით, ეს არის (სავარაუდო) დანაშაულის ჩადენის ის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტებია ბავშვის უფლებათა კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. კონვენცია ადგენს იმ ძირითად პრინციპებს და სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა.

აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ოთხი ძირითადი დამატებითი დოკუმენტი: გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ (“რიადის პრინციპები”); გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (“პეკინის წესები”); გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად (“ჰავანის წესები”); და სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ (“ვენის პრინციპები”).

მიუხედავად ამ ყველაფრისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი დღემდე სადავოდ ითვლება, ან ჯეროვნად არ არის გადაწყვეტილი. სტატისტიკა მოწმობს, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ჩვენში, სამწუხაროდ საკმაოდ

გავრცელებულია. კონკრეტული საქმეთა შესწავლისას კი გაირკვა, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ხშირად უშვებენ შეცდომებს და არ იცავენ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერ-ესებს მათი საქმეთა კვალიფიკაციის დროს.

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირება და თანამედროვე ტენდენციები, სისტემის ისტორიული განვითარება; აგრეთვე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის პროცესი საქართველოში, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ქართული სამართლებრივი სივრცისთვის.

ნაშრომის მიზანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ეტაპობრივი შედეგებისა და პრაქტიკული ასპექტების შეფასება, აგრეთვე ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული რეფორმის ფარგლებში მიღებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, კერძოდ კი კოდექსში არსებულ შესაძლო ხარვეზებზე, ნორმების ბუნდოვნებაზე და პრაქტიკაში არსებულ სირთულეებზე.

თავი 1. არასრულწლოვანთა მართლმსჯულების სისტემა

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, რომელსაც ემსახურება არასრულწოლვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კომპლექსური საკითხია და საჭიროა როგორც საკანონდებლო ნორმების შექმნა, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანი-ზმებს, დებულებებს, შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს. ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არ შეიცავს არც პირველად (ანუ საყოველთაო), და არც მეორეულ (ანუ მიზნობრივ)

პრევენციის პროგრამებს ბავშვების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემცირებისათვის. სანაცვლოდ, იგი ითვალისწინებს მესამეულ პრევენციას, ანუ ინტერვენციას პროცესის განმავლობაში (დაპატიმრების მომენტიდან), რაც მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს როგორც პირველად, ასევე მეორეულ პრევენციას, მაგრამ ეს ასპექტები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შემადგენელ ნაწილად მოიაზრება და არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისა. [1]

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის განხილვისას მნიშვნელოვანია აღვნიშნოდ, თუ რას წარმოადგენს არასრულწლოვანი აღნიშნულ სისტემაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მიზნებისათვის, არასრულწლოვანი არის - 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. რაც შეეხება მინიმალურ ასაკს, სისხლის სამართლის საკანონმდებლო მიზნებისთვის, იგი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში და შესაბამისად განსხვავებულად რეგულირდება. საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვანს განმარტავს, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისთვის პირს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

საერთაშორისო სამართალში ბავშვობის დასრულების ასაკად თანდათანობით 18 წელი დამკვიდრდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ეს ასაკი უკვე მტკიცედაა დადგენილი ზედა ასაკობრივ ზღვრად. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ეს არის დანაშაულის ჩადენის ის პერიოდი, რომელსაც არასრულწლოვნისთვის შესაბამისი რეაგირება შეესაბამება.

საერთაშორისო სამართალი 18 წლის და უფროსი ასაკის პირებზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების გამოყენებას არ ითვალისწინებს,

[1] ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გაეროს ბავშვთა ფონდი. გვ 19

მაგრამ პეკინური წესები და ბავშვთის უფლებათა კომიტები ამას სასურველად მიიჩნევს, ამასთან, კომიტეტი ეწინააღმდეგება ამ ტენდეციის საპირისპირო ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი ახალგაზრდის მიმართ არ გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესები და მათ სრულწლოვანი დამნაშავეებივით ეპყრობიან. [2]

ამ საკითხის რეგულირება ასევე გათვალისწინებულია საქართველოს არასრულწოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. კოდექსის მე-2 მუხლი ეხება მოქმედების სფეროს, რომლის მიხედვითაც, კოდექსი გამოიყენება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

საქართველოს არასრულწოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აღიარებს ახალგაზრდა დამნაშავის ცნებას და შესაძლებლად მიიჩნევს 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების მიმართ გამოყენებულ იქნას არასრულწოვანთა მართლმსაჯულების პროცესი, მათი რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის და შემდგომში საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბების მიზნით.

1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიული განვითარება

ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ განსხვავებული მიდგომა სისხლის სამართლისსისტემაში დიდი ხანი არაა, რაც განვითარდა. ადრეულ პერიოდშიც, რიგ შემთხვევებში, ახალგაზრდა ასაკი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლებოდა, თუმცა დეტალური რეგულირებისა და ცალკეული ინსტიტუტების მქონე კომპლექსური სისტემები სულ რაღაც ას წელზე მცირე ხნის წინ შეიქმნა.

გარდამტეხი ეტაპი, რომელსაც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთათვის განცალკევებული წესების განვითარება მოჰყვა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარმოქმნილი ინტელექტუალური და საზოგადოებრივი მოძრაობის

[2] ვაიდკუნი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის. თბილისი : გაეროს ბავშვთა ფონდი (2013)

წყალობით დადგა. სწორედ ამის დამსახურებაა რომ ბავშვობა და ახალგაზრდა ასაკი ცხოვრების დამოუკიდებელ და გამორჩეულ ფაზად იქნა აღიარებული და 1899 წელს ჩიკაგოში საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდულ საქმეებზე პირველი სასამართლოს შექმნას.[3]

ის მოსაზრება, რომ ახალგაზრდები სრულწლოვან პირთაგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებდნენ, უფრო და უფრო მეტად განმტკიცდა და XX საუკუნის დასაწყისში, ბრალდებელ ან დამნაშავედ ცნობილ ბავშვებთან მიმართებაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განცალკევებული ინსტიტუციების, სასა-მართლოებისა და რეგულაციების შექმნა გამოიწვია.

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 1924 წელს, როდესაც ერთა ლიგამ გამოსცა „ბავშვის უფლებების დეკლარაცია“, რასაც 1959 წელს მოჰყვა მსგავსი დეკლარაციის იმავე სახელწოდებით მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. ორივე დოკუმენტი ფიგურირებს ბავშვთა დაცვის განსაკუთრებული საჭიროების იდეა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული განსაკუთრებული წესები საერთაშორისო სამართალში შედარებით გვიან და მოკრძალებული ფორმით გამოჩნდა. გარკვეული დებულებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ გაეროს სამოქალაქო პოლიტიკურ უფლებათა პაქტში (ICCPR) მხოლოდ 1966 წელს დაფიქსირდა.

ასეთი მინიმალური სტანდარტები მიიღეს 1985 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების სახით, რომელსაც უწოდებენ „პეკინის წესებს“ (BR). შინაარსობრივად, „პეკინის წესები“ ფოკუსირდება, ერთი მხრივ, საპროცესო გარანტიებზე და მეორე მხრივ, განრიდებაზე, მოპყრობასა და თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვაზე. მალევე გაჩნდა კიდევ ორი სხვა ინსტრუმენტი, კერძოდ: 1990 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები - ე.წ. „რიადის წესები“ (RG) და გაეროს თავი-სუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთან მოპყრობის წესები ე.წ. „ჰავანის წესები“ (JDL).

[3] ვაიდკუნი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის. საუნივერსიტეტო კურსი; საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდი. 2013 წ.

1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირება და თანამედროვე ტენდენციები

მეოცე საუკუნეში ადამიანის უფლებების შესახებ მიმდინარე დებატებში ბავშვის უფლებები დამოუკიდებელ თემად იქცა. დროთა განმავლობაში ბავშვებს თანდათან სულ უფრო მეტად აღიარებდნენ დამოუკიდებელი უფლებების მატარებელ სუბიექტებად. ამის გათვალისწინებით, 1980-იან წლებში საერთაშორისო დანამეგობრობამ დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების ისეთი კომპლექტის შემუშავება, რომელიც სრულად მოიცავდა : არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების“ სფეროს - დანაშაულის პრევენციით დაწყებული და სასჯელის აღსრულებით/ზომებით დამთარებული.[4]

არასრულწლოვნანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირებას როგორც გაეროს, ასევე ევროპის საბჭოს ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიეძღვნა. მოცემულ თავში მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეგულირების კუთხით, როგორებიცაა: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვნათა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით და გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.

1.2.1. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტია ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც შედგება 54 მუხლისგან. ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC)

[4] ვაიდკუნი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის. საუნივერსიტეტო კურსი; საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდი. 2013 წ.

წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, იგი 1989 წლის 20 ნოემბრეს მიიღეს. კონვენცია მოიცავს არა მარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არამედ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებსაც. ამ მხრივ კონვენციას უთუოდ გამორჩეული ადგილი უკავია ადამიანთა უფლებების თემაზე შექმნილ დოკუმენტთა შორის.

მსოფლიო საზოგადოება ბავშვთა მდგომარეობით პირველად 1923 წელს დაინტერესდა, როდესაც ახლადდარდებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვების საერთაშორისო კავშირმა“ მიიღო ხუთი მუხლისგან შემდგარი ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც ჟენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი. ბავშვის უფლებათა ჟენევის დეკლარაცია 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ დაამტკიცა.

ბავშვთა უფლებების ამსახველი კონკრეტული დებულებანი შესულია ადამიანის უფლებისადმი მიძღვნილ თუ ჰუმანიტარული სამართლის სხვადასხვა დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, რიგმა სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილიყო სრულყოფილი დოკუმენტი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობით იქნებოდა განმტკიცებული.

1979 წელს, რომელიც ბავშვთა საერთაშორისო წლად იყო აღიარებული, გაეროს კომისიამ ადამიანის უფლებების თაობაზე, პოლონეთის მთავრობისგან მიღებული წინადადებების საფუძველზე, დაიწყო ახალი იურიდიული დოკუმენტის პროექტზე მუშაობა.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მიღებამ სათავე დაუდო სახელწიფოთა მიერ კონვენციის რატიფიცირებასა და მისი მონიტორინგის მიზნით საგანგებო კომიტეტის შექმნას. 1990 წლის სექტემბრისთვის კონვენციის 20-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, რის შედეგადაც იგი ოფიციალურად შევიდა ძალაში.

კონვენცია ადგენს ბავშვის ასაკს და პირველივე მუხლში მიუთითებს, რომ ბავშვად მიიჩნევა ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არ შესრულებია 19 წელი, თუ რომელიმე წევრ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთელ სისტემაზე, მართლმსაჯულების სისტემასთან არასრულწლოვანთა პირველი კონტაქტიდან სისტემასთან ყველანაირი კავშირის დასრულებამდე.

1.2.2. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვნთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები)

გაეროს მინამალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსჯულების განხორციელების თაობაზე მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბერს. მიღებული წესები მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პრინციპები გავრცელდეს ახალგაზრდა სრულწლოვნებზეც.

აღნიშნული წესების მიზანები ეხება მთლიანი სოციალურ პოლიტიკს და მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მაქსიმალურად ხელშეწყობისკენ, რაც შეამცირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოყენების აუცილებლობას. წესები ასევე ნათლად განმარტავს „არასრულწლოვანსა“ და „სამართალდარღვევას“, როგორც „არასრულწლოვანი სამართაკდამრღვევის“ ცნების შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც არიან ამ წესების ძირითადი სუბიექტები. [5]

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე, ასევე გაეროს წესები

[5] გაეროს მინალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები).

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ ნათელყოფენ, რომ დაპატიმრებული არასრულწლოვნების მიმართ დამსჯელი საშუალებების გამოყენება, შეძლებისდაგვარად, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. თუ ახალგაზრდისთვის თავისუფლების აღკვეთა გარდაუვალია, გამოსასწორებელ დაწესებულებაში არსებული ნეგატიური ასპექტებიც, შეზლებისდაგვარად, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

1.2.3. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები)

არასრულლწოვანთა დანაშაულის აღკვეთა საზოგადოებაში დანაშაულის აღკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილია. კანონიერ, სოციალურად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმით და საზოგადოების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულეით ახალგზარდებს შეუძლიათ განივითარონ არადანაშაულებრივი მიდგომები. არასრულლწოვანთა დანაშაულის აღკვეთა მთელი საზოგადოებისგან მოითხოვს მცდელობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული განვითარება, ბავშვობიდანვე მათი პიროვნებებად ჩამოყალიბების ხელშეწყობით. [6]

1990 წლის 14 დეკემბერს მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ სახელმძღვანელო პრინციპები. რიადის პრინციპებმა გაეროს წევრ სახელწიფოებს დანაშაულის პროგრესულად პრევენციის პოლიტიკისა და შესაბამისი სისტემების შემუშავებისკენ მოუწოდა და მაგალითისთვის შემდეგი ქმედითი ღონისძიებების გატარება შესთავაზა:

- საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რამაც უნდა დააკმაყოფილოს ახალგზარდების განსხვავებული საჭიროებანი და გამოყენებულ იქნეს მათი განვითარების მხარდასაჭერად. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ახალგაზრდებზე,

[6] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016. გვ. 272

რომლებიც რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, ან ემუქრებათ სოციალური საფრთხე და ესაჭიროებათ სპეციალური ზრუნვა და დაცვა;

- სპეციალური დოქტრინისა და მიდგომების შემუშავება დანაშაულის აღსაკვეთად, რაც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო რეგულირებისა და აღსრულების კუთხით, რომლის მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ჩადენის მოტივაციის, საჭიროებისა და შესაძლებლობების შესუსტება;
- იმის გათვალისწინება, რომ ახალგაზრდების ქმედება ან საქციელი, რომელიც არ შეესაბამება სოციალურ ნორმასა და ღირებულას, ხშირად ახალგაზრდების განვითარებისა და ზრდის პროცესის ნაწილია და უმრავლესობას იგი თავისთავად ემუქრება სრულწლოვანების მიღწევისას;
- ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებისთვის ისეთი დამღის დამჩნევასთან დაკავშირებით, როგორიცაა „კანონის დამრღვევი“ და „დამნაშავე“, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ახალგაზრდების მიერ არასასურველი საქციელის განმეორებას. [7]

ერთმნიშვნელოვანია, რომ რიადის სახელმძღვანელო პრინციპები აქცენტს აკეთებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე და დანაშაულის თავიდან აცილებისთვის ეფექტური და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებაზე. აგრეთვე, რიადის სახელმძღვანელო პრინციპები ცალკე თავს უთმობს კანონმდებლობასა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნული თავი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კანონის მიღება და განხორციელება ყველა ახალგაზრდის უფლებების დასაცავად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

[7] გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები).

1.2.4. გაერთიანებული ორგანიზაციის წესები თავისუფლე-ბააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები)

გენერალური ასამბლეის მიერ, 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუციით მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ შეიქმნა მინიმალური სტანდარტის დასადგენად თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვისათვის, რომელიც სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან. ამასთანავე, წინამდებარე წესების შექმნა მიზნად ისახავდა უფრო მოსახერხებელი სტანდარტების დადგენას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მართვაში მონაწილე პროფესიონალთა სახელმძღვანელო პრინციპებით უზრუნველყოფას.

აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებით პერსპექტივებს, კერძოდ სისტემა უნდა მოიცავდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის წამახალისებელ უფლებებსა და გარანტიებს. კანონის დარღვევაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მოპყრობა უნდა განსხვავდებოდეს იმავე მდგომარეობაში მყოფ ზრდასულებთან მოპყრობისგან, ამ ყველაფერს აქვს შემდეგი საფუძვლები:

- მიიჩნევა, რომ ბავშვი ნაკლებად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე, მისი პასუხისმგებლობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად;
- ზრდასრულებთან შედარებით ბავშვები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან უფრო ადვილად ექვემდებარებიან გამოსწორებას და სწავლობენ ქცევის სხვაგვარ წესებს;
- ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც მოთავსებულნი არიან წინასწარი პატიმრობის საკნებსა და ციხეებში, დაუცვლენი არიან ძალადობისა და ცუდად მოპყრობისაგან და ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა.

თავი 2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის პროცესი ქართულ სამართალში

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის რეფორმის სტატეგია. სტრატეგიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანს უფლებების დაცვა.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, შესაბამისად არსებობდა მზადყოფნა იმისათვის, რომ შექმნილიყო ისეთი სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა დანაშაულის თავიდან აცილებაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბებასა და მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე უწყებათა ანგარიშვალდებულების, ეფექტურობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფაზე.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა სისხლის სამართლის მართლმსა-ჯულების სისტემის რეფორმის ძირითადი პრიორიტეტები, ესენია:

- სისხლის სამართლის საკანონმდებლო ლიბრალიზაცია, მოდერნიზაცია, საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასი უზრუნველყოფა, არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების ეტაპზე;
- დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია, დანაშაულის დონის შემცირება, საზოგადებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლება;
- პატიმართა პირობების გაუმჯობესება და სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანდაცვის სისტემის რეფორმა;
- პროკურატურის დამოუკიდებლობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- ეფექტიანი რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის მიზნით პრობაციის სისტემის რეფორმა;
- სახალხო დამცველის აპარატის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- რეაბილიტაციაზე, რესოციალიზაციასა და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა და განვითარება;
- იურიდიული განათლების სისტემის დახვეწა და განვითარება, იურიდიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; [8]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ რეფორმის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად იკვეთება არასრულლწოვანთა მართლმსაჯულების ეფექტური სისტე-მის დანერგვა საქართველოში. კერძოდ, სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამების საშუალებით რეციდივის დონის შემცირება.

2.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის შემაგენელ ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ისახავს ისეთი სიტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყობს არასრულწლო-ვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს უწყობს სისხლის

[8] სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია. 2017 წელი. გვ 4

სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სათანადო რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას. წინამდებარე სტრატეგია უზრუნველყოფს არა მხოლოს ბავშვთა კეთილდღეობასა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას, არამედ ემსახურება საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებს, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხო-ების განმტკიცებას, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე საზოგადოებაში დადებითი ღირებულებების მქონე და კანონმრჩილი ახალგაზრდა წევრების დაბრუნებას.

რეფორმის ფარგლებში გამოიხატა მზადყოფნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შექმნისთვის, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყება-თაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ განისაზღვრა 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, სადაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა. აღნიშნული სტრატეგიის მიზნებისთვის „არასრულწლოვანი“ გულისხმობს 18 წელს მიუღწეველ პირს, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს, სამოქალაქო და ადმინისტრაცული სამართალწარმოების პროცესში მონაწილე, დაზარალებულ ან მოწმე არასრულწლოვანს, აგრეთვე პრევენციული პროგრამების სამიზნე არასრულწლოვანს. [9] სტრატეგია ეფუძნება ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით განმტკიცებულ ისეთ მნიშვნელოვან პრიციპებს, როგორიცაა ბავშვის საუკეთესო ინტერესი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და მათი სტიგმატიზაციის დაუსვებლობა, სამართლიანი სასამართლოს გარანტიების უზრუნველყოფა, პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა, მინიმალური ჩარევის პრონციპი, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიურლი მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა.

[9] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია. 2015 წ. დამტკიცებული საბჭოს რიგით მე-17 სხდომაზე. გვ 72

შესაბამისად შეგვიძლია განვსაზღვროთ სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები, კერძოდ:

- კანონთან კონფლიქტსი მყოფი არასრულწლოვნები;
- დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნები;
- სამოქალაქო სამართალწარმოების მონაწილე არასრულწლოვნები;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიღწეული არასრულწლოვნები, როგორც პრევენციული პროგრამის სამიზნე ჯგუფი.[10]

2.1.1. რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პრიორიტეტები ჩამოყალიბდა იმ ძირითადი მიმართულებების მიხედვით, რომელიც საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიაში განისაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები.

აღნიშნულ მიმართულებებს წარმოადგენს :

- კანონმდებლობის დახვეწა;
- დანაშაულის / სამართალდარღვევის პრევენცია;
- სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების განვითარება;
- პატიმრობის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია;
- პროფესიონალთა სპეციალიზაცია;

[10] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია. 2015 წ. დამტკიცებული საბჭოს რიგით მე-17 სხდომაზე. გვ 73

- სტატისტიკური/ საინფორმაციო სისტემის განვითარება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;[11]

ეფექტური პრევენციული პოლიტიკის შემუშავება გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი მნიშვენლოვანი მოთხოვნაა. აღსანიშნავია, რომ პრევენციული პოლიტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ არასრულწოვანთა წარმატებულ რესოციალიზაციასა და მათი ადრეული ასაკიდან კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, არამედ ემსახურება მთელი საზოგადოების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას.

2.1.2 განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

ამ მიმართულებით აღსანიშნავია იუსტიციის სამინისტორს მიერ შემუშვებული განრიდება და მედიაციის პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს. პროგრამის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება სისხლისსამართლებრივი პასუხსიმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია - რებილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ამ ინსტიტუტის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერიალიზაციისაკენ, რის შედეგადაც შესაძლე-ბელი გახდა ნასამართლევ, პირობით მსჯავრდებულ პირთა და პატიმართა რაოდენობის შემცირება, ასევე პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა. აღნიშნული პროგრამა ემსახურება იმ ამოცანას, რომ მოზარდს მისცეს გამოსწორების შანსი და თავიდან იქნეს აცილებული ციხის პირობებში მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალ პროცესი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად განრიდება - ეს არის არასრულწლოვნის

[11] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია. 2016 წ. დამტკიცებული საბჭოს რიგით მე-22 სხდომაზე. გვ 84

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. [12]

რაც შეეხება მედიაციას, ეს არის დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ხშირად იწოდება, როგორც "დავის ალტერნატიული გადაწყვეტა." მედიაცია მოლაპარაკების პროცესია, სადაც ნეიტრალური პირი - მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. სისხლის სამართალში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ბევრ ქვეყანაში აპრობირებულ მედიაციის სახედ ითვლება დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან. მედიაციის პროცესი ნებაყოფლობითი და არასავა-ლდებულოა. მედიატორს არ გააჩნია ბერკეტი, რითაც აიძულებს მხარეებს მიიღონ გადაწყვეტილება ან აუკრძალავს გადაწყვე-ტილებაზე დათანხმებას. მედიატორი არ უწევს მხარეებს იურიდიულ კონსულტაციას და არ არის მათი წამომადგენელი მედიაციის პროცესში. მხარეები თავად აყალიბებენ საკუთარ პოციზიას და იღებენ გადაწყვეტილებას მედიაციის პროცესში განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედებისა თუ უმოქმედობის შესახებ. დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება, როგორც კონფლიქტის მოგვარების საშუალება, გულისხმობს დამნაშავისა და დაზარალებულის პიროვნულად შესწავლას, იმ პირადული თუ სოციალური ასპექტების ანალიზს, რომელმაც გამოიწვია დანაშაული, მათ შორის კონფლიქტი. [13] განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებით არასრულწლოვანი სრულიად თავისუფლდება სისხლისსამა-რთლებრივი პასუხისმგებლობისგან და ჩადენილი დანაშულისთვის მის მიმართ ტარდება სხვა ტიპის ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას, სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე.

ტრადიციული მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, რომელიც დამნაშავის დადგენაზე და დასჯაზეა ძირითადად ორიენტირებული, აღდგენითი

[12] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016. გვ. 95

[13] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016. გვ. 108

მართლმსაჯლების დროს აქცენტი პირველ რიგში პრობლემის მოგვარებაზე კეთდება, დიალოგისა და მოლაპარაკების გზით ზიანის ანაზღაურებაზე და მხარეების შერიგებაზე. მისი გამოყენების ერთ-ერთ მიზანს აგრეთვე წარმოადგენს ის, რომ შეამციროს განმეორებითი დანაშაული და მოზარდს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივი ნორმებისადმი.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2015 წლის განმავლობაში, განრიდების პროგრამაში ჩაერთო 297 არასრულწლოვანი, 2016 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 462 გახდა, ხოლო 2017 წელს განრიდებული არასრულწლოვანთა რიცხვი 475 შეადგენდა. ეს ინდექსი კიდევ უფრო გაიზარდა 2018 წელს და 497 არასრულწლოვანი განერიდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში განრიდებული იქნა 3632 პირი, რომელიც იყო 21 წელს მიუღწეველი. [14]

2018 წლის განმავლობაში, განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები:



[14] განრიდების პროგრამების (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2018 წლის ანგარიში სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი"; განრიდებისა და მედიაციის სამმართველო; თბილისი 2018. გვ 7

2.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონდმებლობის რეფორმა

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის რეფორმა გულისხმობს არსებული კანონის შეცვლას ან ახალი კანონის შექმნას. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობის რეფორმა და დახვეწა გაცილებით მრალამხრივი პროცესია.

კანონმდებლობის რეფორმა უშუალოდ მოიცავს:

- პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებას;
- პროფესიულ პრაქტიკას;
- ინსტიტუციურ შესაძლებლობებს;
- დაგეგმვასა და განხორციელებას;
- გარდამავალ ღონისძიებებს;[15]

რეფორმის ეფექტიაანობისათვის იდეალურ ვარიანტში ეს უნდა იყოს ერთგვარი თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ პოლიტიკურ იდეოლოგიას, არამედ სისტემაში მომუშავე პროფესიონალების შეხედულებსა და ასევე ბავშვების მოსაზრებებს, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ობიექტებს წარმოადგენენ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერ ახალ კანონს წინ უნდა უძღოდეს ამომწურავი ანალიტიკური დოკუმენტის შექმნა, რომელშიც დასაბუთებული იქნება რეფორმის მიზეზები და ის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ახალი კანონი ისახავს მიზნად. სახელმწიფოებს მსგავსი დოკუმენტის შემუშავება დახმარებას გაუწევს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10, სადაც ჩამოყალიბებულია ის უმთავრესი პრინციპები და ძირითადი ელემენტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთ დოკუმენტში.[16]

---

[15] ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითიბები. გვ 12

[16] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №10, (2007) პუნქტი 4

სასურველია, ნებისმიერი ანალიტიკური დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კანონის მნიშვნელოვანი ცვლიბებები, თავდაპირველად მომზადდეს საკონსულტაციო დოკუმენტის სახით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დაინტერესულ მხარეებს მისცემს თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას. საბოლოო ანალიტიკური დოკუმენტი ნათლად უნდა გადმოსცემდეს ახალი კანონის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე იმას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ახალი კანონის სრულად განხორციელების მიზნით.

ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც იწყებს ბავშვებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დანერგვაზე ან მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობას, უნდა უაზრუნველყოს, რომ შემოთავაზებული პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას, სტანდარტებსა და ნორმებს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ იმ სხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტებს, რომელთა მონაწილეც არის.

მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს:

- მიზნებსა და ამოცანებს;
- ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება სისტემაში მოხვედრილ ნებისმიერ ბავშვთან მიმართებაში; და
- საპროცესო დაცვის დეტალურ მექანიზმებსა და გარანტიებს;[17]

[17] ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გვ 13

თავი 3. არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენების უკიდურესი ზომა

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) ბუნქტი ითვალისწინებს, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში. მკაცრი სასჯელი მხოლოდ მაშუნ იქნა გამართლებული, თუ ნანკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას. ამრიგად, ჩვენი კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ კონცეფციას, რომელიც აწესებს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის პრინციპის სასარგებლოდ. შესაბამისად სასჯელის შემფარდებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათალისწინებულ სასჯელთ უფრო ხშირი გამოყენება, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

ხშირია შემთხვევები, როდესაც თავისუფლების აღკვეთის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები კარგავენ კავშირს საკუთარ ოჯახებთან. კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა საკითხებს ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციასა და არა დასჯას. თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობა თითოეულ არასრულლწოვან თავისუფლებააღკვეთილ პირზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც დამოკიდებულია მათ ზოგად მდგომარეობაზე, სულიერ ჯანმრთელობაზე, სიძნელეების გამკლავების უნარსა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე. ზოგადად, თითოეულ თავისუფლებააღკვეთილი პირი და განსაკუთრებით არასრულწლოვნები, მათი ასაკიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განიცდიან დამოუკიდებლობისა და სოციალური მხარდაჭერის დეფიციტს, აგრეთვე, მათთვის დამახასიათებელია დაღლილობის შეგრძნება იმის გამო, რომ მოკლებული არიან მიზანმიმართულ საქმიანობას. აღნიშნულმა შეგრძნებამ, შეიძლება გამოიწვიოს იზოლაციის, დეგრადაციისა და უუფლებობის განცდა, რამაც შესაძლებელია გაამწვავოს არსებული ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემები და ხელი შეუწყოს ახალი სირთულეების პროვოცირებასა და წარმოქმნას, მათ შორის დეპრესიასა და

საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის დაქვეითებას ან სულაც დაკარგვას. თავისუფლეააღკვეთილ არასრულწლოვნებს, რომლებიც ზემოაღნიშულიი განცდების ქვეშ იმყოფებიან, შესაძლოა განუვითარდეთ ძალადობისა და განრისხების რეაქციები.[18]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად ცალკე თავს უთმობს პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნებს და აღნიშნავს, რომ დაკავების ნაცვლად სასამართლო მაქსიმალურად უნდა ეცადოს შეუფარდს მათ აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებები. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ აღკვეთის სახით არასრულწლოვანს განუსაზღვრა პატიმრობა, სასამართლომ და საგამოძიებო ორგანოებმა პრიორიტეტულად, მაქსიმალურად სწრაფად უნდა განიხილნ მსგავსი საქმეები, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ არასრულწლოვნის პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი.

ამასთან, პეკინის წესების მე-17 წესი ითვალისწინებს, რომ დაკავება: „არ უნდა შეეფარდოს არასრულწლოვან პირს, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენების ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთჯერადად ჩადენაში, ასევე თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმებდების ზომა.“ თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენება გარდაუვალია, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, მისი საქმე შეძლებისდაგვარად სწრაფას უნდა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ, რათა იგი მაქსიმალურად მოკლე დროის განმავლობაში იყოს საზოგადოებისგან იზოლირებული. ამასთანვე, წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნისთვის მისი მდგომარეობის და ასაკის გათვალისწინებით, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა საჭირო პირობა და შესაძლებლობა, რაც მოიცავს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ასევე სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას და კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. თუმცა, არასრულწლობნის მცირე ასაკის გამო, ამ ღონისძიებათა შორის

[18] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016. გვ 208

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური განათლების ხელმისაწვდომობას, რომელიც არ უნდა შეწყდეს პატიმრობაში ყოფნის დროსაც კი.

ჰავანის წესების მე-2 წესის მიხედვით „არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში.“ აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს და სამართლამდამცავი ორგანოების სხვა თანამდებობიდ პირებს აკისრიათ ვალდებულებება, ბავშვებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ მხოლოდ გამონაკლისის სახით.

ამ კუთხით საქართველოში უნდა გააქტიურდეს და დაიხვეწოს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების პრაქტიკა.

პრევეციული პროგრამების განსაკუთრებული მნიშვნელობა ვლინდება დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლო-ვნებთან მიმართებაში, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზრუნვასა და მიდგომებს. პროგრამები ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებს არსებულ რისკ-ფაქტორთა დაძლევასა და აღმოფხვრაში, ხოლო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შემთხვევაში, პრევენციული პროგრამების მიზანია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის თავიდან აცილება და მათი რეაბილიტაცია. აქედან გამომდინარე, პრევენციული პროგრამები უნდა იყოს დაყოფილი სამიზნე ჯგუფისა და პრობლემების განვითარების სტადიის მიხედვით: პირველადი, ანუ ადრეული პრევენცია, რომელიც მიამრთულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; მეორე დონის პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე და უზრუნველყოფს დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირებას. მესამე დონის პრევენცია მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა გამოსწორებას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას.[19]

არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენციისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს პრევენციული პროგრამების მრავალფეროვნება,

[19] სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია. გვ 6

ხოლო მათი შესრულება უნდა იყოს თანმიმდევრული და ეფექტური. ამასთან, პრევენციული პროგრამების დაგეგმვისას საჭიროა არსებული შეზღუდული რესურსის სწორად და შედეგიანად გამოყენება და იმ პროგრამების განხორციელება, რომელთა წარმატებაც დადასტურებულია შესაბამისი კვლევებითა და საერთაშორისო გამოცდილებით.

3.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართებაში სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. აღსანიშნავია, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კონცეფცია. დაინერგა და წარმატებით ხორციელდება „ რისკების და საჭიროებების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის“ მეთოდოლოგია, აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს და მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემცირებას, არასრულწლოვანთა რესოციალიზაციასა და სარეაბილიტაციო პროგრამებში მათ ჩართულობას. ინდივიდუალური გეგმა ითვალისწინებს არასრულწლოვვანთა რისკ-ფაქტორების შემცირებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, სადაც პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია პრობლემური საკითხები და რეაგირების ზომები. არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში სპეციალური ინდივიდუალური მიდგომა გათვალისწინებულია როგორც სასჯელის მოხდის პერიოდში, ისე პრობაციის პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მოხდის სწორ დაგეგმვას და განხორციელებას, ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობები, პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები. ამ პროცესში ჩართულია სხვადასხვა სპეციალისტი, მათ შორის პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სხვა

პროფესიონალი, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა საჭირობებს და მჭიდროდ მუშაობენ მათთან.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომის კონცეფციის ფარგლებში რისკებისა და საჭიროებების შეფასების, ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის და რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმების შემდგომი დახვეწა და მათ შეფასებისათვის შესაბამისი ინსტუმენტის შემუშავება. ამასთან, აუცილებელია აღნიშნული გეგმების შემუშავებისათვის ერთიანი სტანდარტის დაწესება, რაც ხელს შეუწყობს, სისტემაში მომუშავე პროფესიონალების მიერ ერთგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

თავი 4. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

2014 წელს იუსტიციის სამინისტრომ ქართველი და უცხოელი ექსპერტების, ასევე ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი. ახალი კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში აერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სიმარტივეს და განჭვრეტადობას. კოდექსის მიზანია, მართლმსაჯულების განხორციელებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის უფლებების დაცვა, დაზარალებული

არასრულწლოვნის განმეორებითი ან ხელახალი ვიქტიმიზაციის/ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.[20]

კოდექსი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. [21]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში აქამდე არსებული კანონმდებლობა არ უთმობდა საკმარის ყურადღებას არასრულწოვნის საუკეთესო ინტერესებს, ასევე არ ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების უპირატესობას, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სათანადო მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ სხვა სახელწიფოთა პრაქტიკისგან განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც გააერთიანებდა მართმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწიელობის შესახებ არსებულ სპეციფიკურ წესებს და გაამარტივებდა მათ გამოყენებას. არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს ეხება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელთა დებულებებსაც დაეყრდნო წინამდებარე კოდექსი, მათ შორის: ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბელის დეკლარაცია (1959), ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989) და მისი დამატებითი ოქმი (2000), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდ-არტული წესები (1985), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005), თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები.

[20] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო; სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია. 2015 წ. დამტკიცებული საბჭოს რიგით მე-17 სხდომაზე. გვ 74

[21] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე. გვ. 58;
https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf

4.1. კოდექსის სტრუქტურა

აქამდე არსებული კანონმდებლობა ნაწილობრივ ითვალისწინებდა სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვნის მიმართ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები გაცილებით მაღალია და მათთან შესაბამისობისთვის აუცილებელი გახდა ერთიანი სპეციალური საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბება. არასრულწლოვნთა მართლმსაჯულების კოდექსი ადგენს არასრულლწოვანთა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტაციული პასუხისმგებლობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსურლების სპეციალურ წესებს. ადმინისტაციული სამართალდარღვევების საქმეებზე არასრულწლოვნებისათვის სპეციალური წესების გათვალისწინება საერთაშორისო სტანდარტია, რომელსაც მიმართავენ ქვეყნები, სადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე წარმოება გამოყოფილია სისხლის სამართალწარმოებისგან. [22]

კოდექსის ძირითადი არსი მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველეს გათვალისწინებაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომებისათ ის უპრირატესობის მინიჭებაში, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ ფართო უფლებამოსილების განხორციელებაში, სასამართლო პროცეში არასრულწლოვნის მონაწილეობისას მისი უფლებების დაცვის, მშობლების და სხვა ახლო ნათესავების მონაწილეობის და პატიმრობის გაუმჯობესებული პირობების უზრუნველყოფაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება

[22] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე. გვ. 57

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, რამდენადაც არასრულწლოვანს არ აქვს განვითარება დასრულებული და მისი ინტერესებიდან გამომდინარე მისივე გამოსწორებისთვის, როგორც წესი, უმჯობესია სასამართლოში საქმის წარმოების ან სხვა მკაცრი ზომების მიღების თავიდან აცილება.

4.2. კოდექსის მოქმედების სფერო

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მოწმე ან/და საზარალებული. ამასთანავე, კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიამრთაც. კერზოდ, კოდექსი მათ მიმართ გამოიყენება მე-15 მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც 18-დან 21 წლამდე პირი ბრალდებულია, მასზე ვრცელდება აგრეთვე 38-ე და 48-ე მუხლები. 18-დან 21-წლამდე ასაკის პირზე არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი ნორმების გავრცელება აპრობირებულია სახელმწიფოებში, სადაც განვითარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ასეთი ქვეყნებია : იტალია, შვედეთი, სერბეთი, ჰოლანდია, პორტუგალია, რუმინეთი, გერმანია, ხორვატია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტების დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება აღნიშულ კოდექსს. ასეთი ნორმატიული აქტები შეიძლება იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ), პატიმრობის კოდექსი, პოლიციის შესახებ კანონი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვა. ეს ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას უპირველესი ნორმატიული აქტი, რაც მხედველობაში უნდა იქნებ მიღებული, არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მაგრამ

ასევე, გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტებიც, თუ ისინი არ მოვლენ წინააღმდეგობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან. [23]

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითად პრინციპებს, ესენია:

- არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები;
- ინდივიდუალური მიდგომა;
- სპეციალიზაცია;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- ჰარმონიული განვითარება;
- განრიდება;
- თანაზომიერება;
- პატიმრობა, როგორც უკიდურესი ფორმა;
- ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობა;
- არასრულწოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვე-ბლობა;
- არასრულწლოვნის მონაწილეობა არასრულწლოვანთა მართლმსა-ჯულების პროცესში;
- არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა;

თავი 5. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები

„ბავშვის მიმართ ყველა ქმედებაში იმის მიუხედავად იმისა, მიამრთავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო

[23] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე. გვ. 59

ორგანოები უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“. [24]

ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპები, ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით თავისუფლებააღკვეთილ ბავშვზე ზრუნვის საკითხებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გადაწყვეტლების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა ა კეთილდღეობაზე. ბავშის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს ძირითადი საკითხი გადაწყვეტილების მიღების დროს. ზუსტად ამ საკითხთან დაკავშირებით, 2013 წელს, ბავშვთა უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა კომენტარი #14 (2013) ბავშვის უფლებების შესახებ, მის საუკეთესო ინტერესს დაეთმოს უპირველესი ყურადღება. [25]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსურია და უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით. იგი უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, შესაბამისი ბავშვის თუ ბავშვების კონრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონდექსტის, მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეული გადაწყვეტილებისთვის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა შეფასდეს და განისაზღვროს ცალკეული ბავშვის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით.[26]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი არასრულწოვნის საუკეთესო ინტერესებს განმარტავს, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

---

[24] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3.

[25] არასრულწლოვანთა დაწესებულების მონიტორინგის სახელმძღვანელო ინსტრუმენტი. თბილისი 2015. გვ 14

[26] ვაიდკუნი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის. თბილისი : გაეროს ბავშვთა ფონდი (2013)

აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომელმაც კონკრეტული სტანდარტები ჩამოაყალიბა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ არასრულწლოვანთან მიმართებით. კერძოდ კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი, რომელსაც შემოაქვს ტერმინი „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი“ და რომელიც განიმარტება, როგორც 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც:

- არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული;
- შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება;

აღნიშნული სწორედაც, რომ წარმოადგენს მნიშვნელოვან რეგულირებას თავად მართლმსაჯულების სიტემაში მყოფი არასრულწლოვნისთვის, სამომავლო რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, რადგან მართლსაჯულების განხორციელბის პროცესში არასრულწლოვნის მიმართ არ ხდება იარლიყის მიკვრა, არ ხდება სტიგმატიზაცია და საზოგადოებიდან გარიყვა ისეთი ტერმინებით, როგორიც არის ბრალდებული არასრულწლოვანი, დამნაშავე არასრულწლოვანი და სხვა. შესაბამისად, ამ გარემოებების გათვალისწინებით გაცილებით ეფექტურად მიმდინარეობს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია - რეაბილიტაციი შემდგომი პროცესი.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მარტლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას სამართალდამცავ ორგანოსთნ არასრულწლოვნის პირველი კონტაქტიდან სასჯელის მისჯისა და სასჯელის შემდომი მომსახურების,

განსაკუთრებით კი თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე შემდგომი ზრუნვის ჩათვლით. [27]

საგულისხმოა, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის ცნება მოქმედებს უშუალოდ თითოეული არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც მართლმსაჯულების პროცესში იქნება ჩართული. ამგვარი მიდგომა რა თქმა უნდა მისასალმებელია, რათა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სისტემა აღიარებს არასრულწლოვანს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას ამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით განხორციელებელი ნებისმიერი ქმედება ნაკრნახევი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით, საიდანაც გამომდინარეობს, რომ საუკეთესო ინტერესების ინსტიტუტი მოითხოვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მიერ დამსჯელობითი ღონისძიებების გამოყენების ნაცვლად, ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების რეინტეგრაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საუკეთესო ინტერესის განხილვისას მნიშვნელოვანია სასჯელის მიზნების განხილვა. ზოგადად სასჯელი სისხლის სმაართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. სასჯელი სახელმწიფოს რეაქციაა ჩადენილ დანაშაულზე. იგი წარმოადგენს სახელმწიფო იძულების განსაკუთრებულ ღონისძიებას.

სასჯელს ადრეულ პერიოდში მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მიერ სამაგიეროს მიზღვას, შურისძიებას, ხოლო თანამედროვე მიდგომით: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“. აღნიშნული მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არსებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი მიზნები, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა. კანონთან კონფლიქტში მყოფი

[27] ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. გაეროს ბავშვთა ფონდი. გვ 35.

არასრულწლოვანის დასჯის ნაცვლად მნიშვნელოვანია მის მიმართ ისეთი აღმზრდელობითი თუ სხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედების სრულად შეცნობას და შემგომი დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილებას, რაც საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.

არასრულწლოვანთა დანაშაული რთული ფენომენია, მას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის ჭინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიან ძალისხმევას.[28]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საუკეთესო ინტერესის დაცვისას უპირატესია არასრულწლოვნის რესოციალოზაცია - რეაბილიტაციის საკითხის გათვალისწინება. არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია განმსაზღვრელია განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და ბავშვის სწორი განვითარების უზრუნველსაყოფად. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი განსაზღვრავს რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის ცნებას, რომელიც გულისხმობს: „არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.“ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა ეტაპზე, პირველი კონტაქტიდან სისტემის დატოვების შემდგომ ზრუნვის ჩათვლით. განგრძობადი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის არსებობა განმსაზღვრელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში. აღნიშნულთან მიამრთებით, რეაბილიტაციისა და რესოზიალიზაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის განმტკიცება, რომელიც

[28] სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015. მომზადებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. გვ 2

არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს, მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას გულისხმობს.

ამასთანავე, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის კუთხით მნიშვნელოვანია მოხდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის უფრო ეფექტიანად ორგანიზება, მათ შორის რეაბილიტაციის პროცესის წახალისების მექანიზმის შემუშავება. ყურადღებას საჭიროებს ასევე არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურების საკითხის დახვეწა.

აღნიშნული საკითხის დასასრულს, ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომელიც უშუალოდ გამოხატავს სახელმწიფოს მიდგომას საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის პროცესში სახელმწიფო, მართლმსაჯულების ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებულად წარმართავს უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს, თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ასეთი მსუბუქი ზომების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ არ არის გამოწვეული ჰუმანური მიზნებიდან და მიდგომებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში წინა პლანზეა წამოწეული სახელმწიფოს ცალსახა პრევენციული მიდგომა დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. კერძოდ კი არასრულწლოვანთან მიმართებით, სახელმწიფო მთელი თავისი სტრუქტურების მეშვეობით ცდილობს ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად განარიდოს არასრულწლოვნები მართლმსაჯულების პროცესს, რომლებიც მიდირეკილებას ავლენენ შემდგომ კრიმინალად ჩამოყალიბებისთვის.

5.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სპეციალისტების მომზადება

ბავშვები მრავალფეროვანი ჯგუფია და თითოეულ ბავშვს თავისი თავისებურებები და საჭიროებები აქვს, რომლებიც ადეკვატურად შეიძლება მხოლოდ ისეთი პროფესიონალების მიერ შეფასდეს, რომელთაც აქვთ გამოცდილება ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალთა სათანადო კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთან შეხების მქონდე ნებისმიერ პროფესიონალს ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები და ამ მიზნით გავლილი ჰქონდეს სპეციალური მომზდება ბავშვთა უფლებების, ამ სფეროში არსებული საერთაშორიდო სტანდარტების, ბავშვთან მუშაობის სპეციფიკის, ბავშვის განვითრების ფსიქოლოგიური და ფიზიკური ასპექტების შესახებ.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის #10-ის შესბაამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ სპეციალიზებული პირები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური სწავლება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, ასევე არასრულწლოვან დაზარალებულსა და მოწმესთან ურთიერთობის მეთოდიკასა და სხვა დაკავშირებულ საკითხებში. გამომდინარე იქიდან, რომ არასრულწლოვანი განსაუთრებულ მოპყრობას საჭიროებს, აუცილებელია პირმა, რომელსაც აქვს მასთან შეხება, იცოდეს თუ როგორ უნდა მიუდგეს მას.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც განახორციელებს ისეთ სპეციალურ ღონისძიებებს, რაც მხოლოდ არასრულწოვანთა მართლმსაჯულებისთვის არის გათვალისწინებული, სპეციალიზებული იყოს ამ კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს იმის საფრთხე, რომ პროცესი ხარვეზებით წარიმართოს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს არასრულწლოვნის ინტერესები. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარით #10, რომელიც რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვნებისთვის შექმნან ცალკე სასამართლოები, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნა. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი ცალსახად უთითებს, რომ არასრულწლოვანთან მომუშავე სპეციალისტებს (პირს, რომელსაც თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში შეხება აქვს არასრულწლოვანთან) გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი.[29]

აგრეთვე მნიშვნელოვანია არსებობდეს სპეცილიზაციის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, მათი სამოქმედო ინსტრუქციები და სამუშაო აღწერილობები ახლდებოდეს საჭიროების მიხედვით და მათ ჰქონდეთ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა ტრენინგებისა და სასწავლო კურსების. აღნიშნული პირები უნდა გაეცონ ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკას, მიიღონ ინფორმაცია ბავშვთა უფლებებისა და არსებული სტანდარტების შესახებ, აგრეთვე მათ უნდა გააცნდეთ სათანადო ცოდნა ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ასპექტებზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართულ სისტემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციას ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 თავი. კერძოდ კი მე-16 მუხლი, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მიუხედვად ამისა, საინტერესოა რამდენად საკმარისია მხოლოდ პროცესის მწარმოებელ პირთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფისთვის სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. არის თუ არა საკმარისი მხოლოდ სათანადოდ გადამზადებული სპეციალისტი იმისთვის, რომ

[29] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე. გვ 62

თავიდან იქენს აცილებული არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაცია ?! ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოწესრიგებული. საქართველოსთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო ფაქტობრივად ახლა ყალიბდება და ბუნებრივია, რომ დიდ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არასრულწოვანზე მორგებული გარემო გულისხმობს არამხოლოდ ნორმატიული ბაზის შექმნას და სამართალწარმოების პროცესში მონაწილე პირთა გადამზადებას, არამედ მატერიალური კუთხითაც სათანადო პირობების უზრუნველყოფას.

თავი 6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრობლემური მუხლების იდენტიფიცირება და განხილვა

აღნიშნული თავის მიზანს წარმოადგენს კოდექსის პრობლემური მუხლების ინდენტიფიცირება და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე მათი განხილვა. საკითხები განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სტრუქტურის მიხედვით.

ა) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპების მე-2 თავთან მიმართებაში საჭიროა განვიხილო არასრულწლოვნის ნასამართლეობის საკითხი, რომელიც მოწესრიგებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ნასამართლეობა გაქარწყლებულად ითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრდებისას გამოსაცდელი ვადის გასვლისთნავე. მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს ამავე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც

ზემოხსენებული შეღავათი არ იმოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ეს ფორმულირება შეიძლება განიმარტოს სხვადასხვაგვარად.

ერთი მხრივ, პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არასრულწლოვნებზე არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ იგი პირველად ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლების შემდგომ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რადგან მუხლის მეორე ნაწილი არ აკონკრეტებს ნასამართლეობის საკითხს.

მეორე მხრივ, მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს, მის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაულისთის ნასამართლეობა უქარწყლდება სასჯელის მოხდის თანავე, შესაბამისად პირი შემდგომ დანაშაულის ჩადენისას ითვლება ნასამართლეობის არმქონედ და მასზე არ უნდა გავრცელდეს მეორე ნაწილის მოთხოვნა.

რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩემი აზრით მუხლი არ არის სრულყოფილად დასრულებული და პრობლემა შესაძლებელია გადაიჭრას შემდგენაირად: ფრაზა „ კვლავ ჩაიდენს დანაშაულს“ უნდა განიმარტოს, როგორც „კვლავ ჩაიდენს დანაშაულს სასჯელის მოხდის პერიოდში ან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე.“ აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მე-12 მუხლის მეორე ნაწილი უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს სასჯელის მოხდის პერიოდში ან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე.

ბ) არასრულწოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები მოცემულია არასრულწლოვანთა კოდექსის მე-5 თავში.

აღნიშნული თავის 32-ე მუხლი მოიცავს არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფას სრულწლოვნის საქმიდან. მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც სრულწლოვანიც იმხილება, არასრულწლოვნის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის სრულწლოვნისაგან განცალკევებით გასამართლდება, თუ ამით

საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება.“

როგორც ბავშვის უფლებათა კონვენცია, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავისუფლებააღკვეთილი ბავშვების უფროსებისგან განცალკევებით მოთავსება. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ამის გაკეთება არ არის საჭირო.[30]

ბავშვის უფლებათა კომიტეტი # 10 ზოგად კომენტარსი იძლევა რეკომენდაციას, რომ ფრაზის „ბავშვის საუკეთესი ინტერსებისთვის ამის გაკეთება არ არის საჭირო“ განმარტება უნდა მოხდეს ვიწრო გაგებით; ბავშვის საუკეთესო ინტერესი არ გულისხმობს „სახელმწიფოსთვის მოსახერხებელს. უფრო მეტიც, ამ გამონაკლისის არსებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისგან, დააარსოს განცალკევებული დაწესებულება ბავშვებისთვის, რომელშიც იქნება გამორჩეული, ბავშვზე ორიენტირებული პერსონალი, კადრები, პოლიტიკა და პრაქტიკა. [31]

აქედან გამომდინარე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია რომ დამკვიდრდეს საქმეთა ცალკე გამოყოფის ერთგვაროვანი პრაქტიკა, რადგან არასრულწლოვნის საქმის განხილვა დაკავშირებულია მთელ რიგ თავისებურებებთან, როგორიცაა სპეციალიზაცია, დაკითხვის განსხვავებული ტექნიკა, სხდომის დახურვის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ საქმის გამოყოფა უნდა მოხდეს ყოველთვის და არა შესაძლებლობიდან გამომდინარე, როგორც ეს მითითებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. აღნიშნული საკითხი მეტად საყურადღებოა, რადგან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება გულისხმობს მთლიანად მართლმსაჯულების პროცესის განსხვავებულად წარმართვას.

---

[30] პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების წესი (8)

[31] ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითიბები. გვ 121

დასკვნა

XX საუკუნემ კაცობრიობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა, რადგან მოხდა ბავშვის უფლებების სუბიექტურად აღიარება, რომელსაც ღირსეულად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. მსოფლიოს ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანს სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა, მით უფრო თუ საქმე გვაქვს ისეთ არასრულწლოვანთან, რომელიც კანონთან კონფლიქტში იმყოფება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პრობლემის აღმოფხვრა კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოფხვრით უნდა დაიწყოს. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება და სხვადასხვა ალტერნატიურლი ინსტიტუტის დანერგვა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, ნაშრომში დადასტურებულია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თვისობრივად მათლმსაჯულების მთლიანი პროცესის მნიშვნელოვან და სპეციფიკურ ნაწილს წარმოადგენს. არასრულწოვანთა მართლმსაჯულების მთლიანი პროცესი ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.

არასრულლწოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ისტორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ განსხვავებული მიდგომა სისხლის სამართლის სისტემაში დიდი ხანი არაა რაც განვითარდა. ადრეულ პერიოდშიც, რიგ შემთხვევებში, ახალგაზრდა ასაკი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლებოდა, თუნდა დეტალური რეგულირებისა და ცალკეული ინსტიტუტების მქონე კომპლექსური სისტემები სულ რაღაც ას წელზე მცირე ხნის წინ შეიქმნა. ის მოსაზრება, რომ არასრულწლოვნები სრულწლოვან პირთაგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ, უფრო და უფრო მეტად განმტკიცდა და XX საუკუნის დასაწყისში , ბრალდებულ ან დამნაშავედ ცნობილ ბავშვებთან მიმართებაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განცალკევებული ინსტიტუციების, სასამართლოებიისა და რეგულაციების შექმნა გამოიწვია.

სწორედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზემოხსენებულმა მნიშვნელობამ განაპირობა შექმნილიყო მთელი რიგი საერთაშორისო ნორმატიურლი აქტები, რომლებიც მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს და მიმართულებებს, ასევე მართლმსაჯულების პრიცესის განხორციელების წესებს. შესაბამისად, არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირებას როგორც გაეროს, ასევე ევროპის საბჭოს ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიეძღვნა.

ცალსახაა, რომ საერთაშორისო დონეზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მზარდი მნიშვნელობა, საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღნიშნული საერთაშორისო რეგულაციების აღიარება და სრულად გაზიარება წარმოადგენდა ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის, რასაც ნამდვილად დადებითი შედეგი მოჰყვა.

შეიქმნა ისეთი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია დანაშაულის თავიდან აცილებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, აღსანიშნავია რომ საქართველოში არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ წესებს არასრლწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.

აქედან გამომდინარე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული სისტემა უზრუნველყოფს არასრულწლოვნათა დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს უწყობს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სათანადო რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას. აგრეთვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

ამრგად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ქმნის რეალურ გარანტიებს საქართველოში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. აღნიშნული კოდექსი ასევე შეიმუშავებს მექანიზმებს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულლწოვნის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისთვის, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დასაცავად.

კოდექსის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, უპირველესყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვათა საუკეთესო ინტერესები.

სამართლებრივი ანალიზის შედეგად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გამოიკვეთა შესაძლო ხარვეზები მუხლებთან მიმართებაში და შემდგომ ამ ხარვეზების გადაჭრის ისეთი გზების ჩამოყალიბება, რომელიც მნიშვნელოვანი და ეფექტურია.

არასრულწლოვანთ მართლმსაჯულების კოდექსის მუხლების სავარაუდო ხარვეზები და მათი გადაჭრის გზები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. არასრულწოვნის ნასამართლეობის საკითხი, რომელიც მოწესრიგებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლში.

მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ ნასამართლეობის გაქარწყლების შეღავათი არ იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. აღნიშნული ფორმულირება შესაძლებელია დისკუსიის საგანი გახდეს და განიმარტოს სხვადასხვავარად.

პრობლემა შეიძლება გადაიჭრას შემდეგნაირად, ფრაზა „კვლავ ჩაიდენს დანაშაულს“ უნდა განიმარტოს, როგორც „კვლავ ჩაიდენს დანაშაულს სასჯელის მოხდის პერიოდში ან პირობითი მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლამდე“. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არასრუწლოვანმა ისე მოიხადა სასჯელი ან პირობითი მსჯავრისას გამოსაცდელი ვადა, რომ ამ პერიოდში დანაშაული არ ჩაუდენია, ოს ნასამართლეობის არმქონდეს ითვლება. შესაბამისად მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაში. თუ მან სასჯელის მოხდის პერიოდში ან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

2. არასრულლწოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 32-ე მუხლის მოიცავს არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფას სრულწლოვანთა საქმიდან,

რომლის მიხედვითაც „თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც სრულწლოვანიც იმხილება, არასრულწლოვნის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის სრულწლოვნისაგან განცალკე-ვებით გასამართლდება, თუ ამით საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება.“

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დამკვიდრდეს საქმეთა ცალკე გამოყოფის ერთგვაროვანი პრაქტიკა, რადგამ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მართლმსაჯულების პროცესი მიმდინარეობს სპეციფი-კურად და შესაბამისად მის მიმართ პროცესის ეფექტური წარმოება ცალსახად შეუძლებელია საქმის ცალკე გამოყოფის გარეშე.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთ მართლმსაჯულების სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალთა სათანადო კვალიფიკაციასა და უნარ-ჩევების განვითარებას. მნიშვენლოვანია, რომ არასრულწლოვანთან შეხების მქონე ნებისმიერ პროფესიონალს ჰქონდეს სპეციალური მომზადება ბავშვთა უფლებების, ამ სფეროში არსებული საერთასორისო სტანდარტების, ბავშვთან მუშაობის სპეციფიკის, ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური და ფიზიკური ასპექტების შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანია სპეციალიზებულ პროფესიონალთა საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მიმდინარე პრაქტიკის ანალზი, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, როგორც გადამზადების პროცესის, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის შემდგომში ეფექტურად განხორციელებისათვის.

მთავარია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ეფუძნებოდეს იმ მნიშვნელოვან პრინციპებს, რომელიც ამ სფეროს განვითარებისა და წინსვლის ამოსავალია. ეს გახლავთ: სისხლისსამართალწარმოების სფეროში მოხვედრილი არასრულწლოვანისა და მისის ოჯახის წევრებისათვის ხელის შეწყობა; არასრულწოვანთა მიმართ ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობა; არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა; თავისუფლების აღკვეთის მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით გამოყენება და ისიც დროის რაც შეიძლება

შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ვითარდებოდეს სისტემატიურად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები;
2. ვაიდკუნი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის. თბილისი : გაეროს ბავშვთა ფონდი (2013);
3. მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეოე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016.
4. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია (2017);
5. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია (2016);
6. საქართველოს მთავარი პროკურატურა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=86-
7. Ganrideba.ge http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo
8. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე; https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf
9. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომის პრესრელიზი; http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/31088/ჯანდაცვა
10. არასრულწლოვანთა დაწესებულების მონიტორინგის სახელმძღვანელო ინსტრუმენტი. თბილისი 2015 https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/03/Monitoring-juvenile-facilities_Georgia.pdf
11. სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015.

გამოყენებული ნორმატიული აქტები

1. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
2. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიამრთ მართლმსაჯულების განხორცელების შესახებ (პეკინური წესები);
3. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არსრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები);
4. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი # 10;
5. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
6. პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები;
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
8. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება # 235. 2012 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი;